The condensed interim financial statements do not contain all the information and explanatory notes required for annual reporting and should therefore be read together with the financial statements for the year ended 31 December 2025, which were signed and issued on 2026.

Review of important accounting policies

These condensed interim financial statements have been prepared using the same accounting policies as were applied in the financial statements for the year ended 31 December 2025. New standards effective from 1 January 2026 did not have a material effect on these statements. The company has not early adopted any other standard, interpretation or amendment that has been issued but is not yet effective. Set out below is a brief summary of the policies that are material for this reporting period.

Fixed assets

	Buildings	Machinery and equipment	Hotel inventory	Other	Total
Historical value					
31 December 2024 (audited)	**57,153**	**5,314**	**9,328**	**172**	**71,967**
Additions	439	45	108	13	605
Disposals	-	-	-	-	-
30 June 2025	**57,592**	**5,359**	**9,436**	**185**	**72,572**
Movements and audit adjustments in H2 2025	(258)	(50)	352	-	44
31 December 2025 (audited)	**57,334**	**5,309**	**9,788**	**185**	**72,616**
Additions	-	22	5	16	44
Disposals	-	(1)	-	-	(1)
30 June 2026	**57,334**	**5,331**	**9,793**	**201**	**72,659**
Accumulated depreciation					
31 December 2024 (audited)	**(8,503)**	**(4,418)**	**(8,423)**	**(43)**	**(21,387)**
Depreciation charge	(586)	(150)	(23)	(8)	(767)
Disposals	-	-	-	-	-
30 June 2025	**(9,089)**	**(4,568)**	**(8,446)**	**(51)**	**(22,154)**
Depreciation and adjustments in H2 2025	(410)	(71)	(416)	(21)	(918)
31 December 2025 (audited)	**(9,499)**	**(4,639)**	**(8,862)**	**(72)**	**(23,072)**
Depreciation charge	(587)	(144)	(52)	(39)	(822)
Disposals	-	1	-	-	1
30 June 2026	**(10,086)**	**(4,782)**	**(8,914)**	**(111)**	**(23,893)**
Carrying amount 31 December 2025	**47,835**	**670**	**926**	**113**	**49,544**
Carrying amount 30 June 2026	**47,248**	**549**	**879**	**90**	**48,766**

Right to use the asset

	Total
Balance as at 31 December 2025 (audited)	**1,623**
Amortisation charge for the six months of 2026	(428)
Derecognition on termination of the lease contract	(1,195)
Balance as at 30 June 2026	**-**

Commodity material stocks

	6M2026	31.12.2025	6M2025
Food and beverages	182	174	345
Consumables, cleaning and stationery materials	127	164	
Hotel inventory			686
Other	14	60	34
Total commodity material stocks	**323**	**398**	**1,065**

In the 2025 interim report, hotel inventory of GEL 686 thousand was recognised within inventories. In the audited 2025 financial statements these items were no longer classified as inventory, and the same approach is retained in the current period. As at 30 June 2026 the class 16 accounts carry GEL 3,772 thousand in the accounting records, of which GEL 323 thousand is recognised as inventory; the difference of GEL 3,449 thousand represents hotel inventory and items treated in the same way.

Trade and other receivables

	6M2026	31.12.2025	6M2025
Financial receivables			
Trade receivables from related parties	38,744	40,592	35,560
Other trade receivables	1,734	806	703
Amounts receivable from financial institutions		764	369
Financial receivables, gross	**40,478**	**42,162**	**36,632**
Expected credit loss allowance	(804)	(804)	
Carry-forward of the audited opening balance adjustment	(383)		
Financial receivables, net	**39,291**	**41,358**	**36,632**
Non-financial receivables			
Advances paid to suppliers	3	9	25
Total trade and other receivables	**39,294**	**41,367**	**36,657**

Movement in the expected credit loss allowance:

	Financial Activities
31 December 2024	(804)
Utilisation of the allowance	
31 December 2025 (audited)	(804)
Utilisation of the allowance	
30 June 2026	(804)

Loans granted

	6M2026	31.12.2025	6M2025
Issued Loans to related parties	**1,891**	**-**	**-**
Balance at the end of the period	1,891	-	-

Money and money equivalents

	6M2026	31.12.2025	6M2025
Cash in the cash register	4	4	2
Money in bank accounts in national currency	614	-	-
Money in bank accounts in foreign currency	1		
Total money and money equivalents	619	4	2

Trade and other obligations

	6M2026	2025	6M2025
Financial obligations			
Other trade commitments	605	215	795
Trade obligations with related parties	996	212	1,245
Payroll obligations	391	8	3
	1,992	435	2,043
Non-financial liabilities			
Advances received			
Total trade and other liabilities	1,992	435	2,043

Revenues

	6M2026	2025	6M2025
Room sales incomes	9,390	24,789	11,056
Hotel services incomes	591	5,864	923
Other operational incomes	329	2,372	200
Total revenues	**10,310**	**33,025**	**12,180**

Form of profit and loss articles

Proceeds from the provision of hotel-related services

	Euphoria Hotel	Euphoria Apartments	Sky Tower Hotel	Grand Belagio Hotel	Total
Room Sales Incomes	5,849	287	76	3,178	**9,390**
Hotel Services Incomes	439			152	**591**
Other Operational Incomes	184		7	138	**329**
Total	**6,472**	**287**	**83**	**3,468**	**10,310**

Salaries and other benefits

	6M2026	2025	6M2025
Salaries	(3,386)	(6,937)	(3,415)
Other benefits	(108)	(987)	(456)
Total employee benefits	**(3,494)**	**(7,924)**	**(3,871)**

Other operating expenses

	6M2026	2025	6M2025
Travel Line brokerage expense	(379)	(991)	(344)
Repair expense	(927)	(1,441)	(272)
Professional and consulting services	(179)	(896)	(468)
Room service costs	(1,606)	(5,456)	(1,729)
Other expenses	(3,215)	(8,915)	(3,436)
Completely different operating costs	**(6,306)**	**(17,699)**	**(6,249)**

Loans received

	6M2026	2025	6M2025
GEL			
Loan from related party	-	-	-
	-	-	-

Tax Liabilities

	6M2026	31.12.2025	6M2025
GEL			
Accrued property tax	387	7,826	464
Other tax liabilities			3,446
	387	7,826	**3,910**

Related parties

	6M2026	2025	6M2025
Financial condition reporting			
Loans granted	1,891	-	
Trade and other requirements	38,744	40,592	35,560
Trade and other obligations	996	212	1,245
Lease liabilities	-	1,801	
Profit and loss and other full income statements			
Income	10,310	33,025	12,180
Interest expense on lease liabilities	(37)	(167)	
Interest expense on loan	-	-	
Interest income	11	-	
Other operational expenses	(11,413)	(28,540)	(11,980)

Profit Tax

Under the profit tax model in force in Georgia from 1 January 2016, profit tax is levied not on the profit of the current period but on distributed profit and transactions treated as equivalent to distribution - in particular, expenses not related to economic activity, free-of-charge supplies, and representation expenses above the established limit.

In the first half of 2026 the company did not distribute dividends, and accordingly no tax on distributed profit arose.

Fair Value

The objective of fair value measurement is to determine, as accurately as possible, the price that would be received to sell an asset or paid to transfer a liability in an orderly transaction between market participants at the measurement date. However, due to the inherent subjectivity of the measurement, fair value should not be interpreted as the amount that would be received from the immediate sale of an asset or paid to transfer a liability. The Company determines the fair values of financial assets and liabilities using valuation techniques. The objective of the valuation technique is to determine the fair value that reflects the price that would be received to sell an asset or paid to transfer a liability in an orderly transaction between market participants at the measurement date. The valuation technique used is the discounted cash flow model. The fair value of all financial assets and liabilities is calculated based on the present value of future principal and interest cash flows, discounted using market interest rates prevailing at the reporting date. The carrying amounts of financial assets and liabilities do not differ materially from their fair values.

Conditional obligations and unforeseen circumstances

Tax legislation. Georgian tax law, together with the related official guidance and court practice, is subject to periodic change and may be interpreted in more than one way. The tax authorities are entitled to review the company's tax obligations and, where a breach is established, to apply the sanctions provided for by law, including fines, penalties and the charging of interest. A review may generally be carried out during the three calendar years following the reporting year and, in the specific cases set out in the legislation, over a longer period.

Management believes that the tax positions applied by the company comply with the legislation in force and with current practice in its interpretation. It is nevertheless possible that the regulator's assessment of a particular matter may differ; the financial effect of any such difference cannot be reliably estimated at this stage.

Events after the reporting period

These financial statements were approved for issue by the management of the company on 25 August 2026.

No events have occurred after the reporting period that would require

სს „მეტრო ეიფორია ჰოტელ ბათუმი“

მმართველობითი ანგარიშგება

და

2026 წლის 6 თვის საქმიანობის მიმოხილვა

საიდენტიფიკაციო ნომერი 445504482

ქ. ბათუმი, საქართველო

სარჩევი

1. ჩვენს შესახებ

2. კომპანიის მიზანი

3. ჩვენი საქმიანობა

4. გეგმები

5. რეგულაცია

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

7. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

8. კორპორატიული მართვის ანგარიშგება

9. არაფინანსური ანგარიში

10. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

11. ინფორმაცია საკუთარი აქციების შესახებ

12. სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები

1. ჩვენს შესახებ

1.1 კომპანია

ბოლო ათწლეულის მანძილზე ბათუმი გადაიქცა არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთლიანად შავი ზღვის რეგიონის გამორჩეულ ტურისტულ დანიშნულების ადგილად. თავისი ძველი თუ ახალი არქიტექტურული შენობებით, უძველესი პორტით, ბოტანიკური ბაღითა და ზღვისპირა ბულვარით, ევროპული მოედნებითა და ქუჩებით და კოლორიტული კაფეებით ბათუმი თანამედროვე საქართველოს საუკეთესო სახეა, რაც განაპირობებს მის პოპულარობას როგორც შიდა, ისე უცხოელ ტურისტებს შორის. ეს ყოველივე განაპირობებს სასტუმრო სექტორში მძაფრ და ამავე დროს მზარდ კონკურენციას — ქალაქში ყოველწლიურად შემოდის ახალი მსოფლიო მასშტაბის სასტუმრო ბრენდი.

სს „მეტრო ეიფორია ჰოტელ ბათუმი“-ს ძირითადი საქმიანობაა სასტუმრო და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებითურთ. კომპანია ქალაქში მართავს რამდენიმე სასტუმროს.

კომპანია სათავეს იღებს 2017 წლის 31 მარტიდან. იმავე წლის ივნისში, ბათუმში, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩა N1-ში დაიწყო „სასტუმროს მართვისა და ტურიზმის“ განხრით სამეწარმეო საქმიანობა.

კომპანიის განთავსებული კაპიტალი შეადგენს 60,529,922 ლარს. კომპანიის 94.99% წილის მფლობელია სს „მეტრო თიჯარი ვე მალი იათირიმლარ ჰოლდინგი“, ს/ნ 9220039184, თურქეთი.

სამეთვალყურეო საბჭო

თავმჯდომარე/წევრი: ქრისტინა გაგარკინა /რუსეთის ფედერაცია/
თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: ლარა ოზთურქ /თურქეთი/
წევრი: ჩიღდემ ოზთურქ ფულათოღლუ /თურქეთი/

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

დირექტორი: ელვან ერდოღან /თურქეთი/, ერთობლივი
დირექტორი: ექრემ ჰამდი ჩაქირ /თურქეთი/, ერთობლივი

საკომუნიკაციო რეკვიზიტები

ვებგვერდი: www.euphoriahotel.ge
ელ-ფოსტა: finance@metroavrasya.ge
ტელეფონი: +995 422 232323

2. კომპანიის მიზანი

- დანერგოს თანამედროვე მაღალი კლასის სასტუმრო მომსახურება;
- აამაღლოს ამ სფეროში მომუშავე ადამიანების პროფესიონალიზმი და კულტურა;

- ხელი შეუწყოს ქვეყნის ტურისტული სეგმენტის განვითარებას;
- უზრუნველყოს ვიზიტორი კომფორტული, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი მომსახურებით.

3. ჩვენი საქმიანობა

სს „მეტრო ეიფორია ჰოტელ ბათუმი“ მართავს სასტუმრო ეიფორიას, რომელიც კომპანიის საკუთრებაშია, და ასევე ქალაქ ბათუმში იჯარით აღებულ სხვა ობიექტს.

3.1 სასტუმრო ეიფორია ბათუმი (საკუთარი)

ფართობით ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სასტუმროა. მდებარეობს ახალ ბულვარში, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩა N1-ში. მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსი მოიცავს 24-საათიან ფართო საპარკინგე ტერიტორიას. სასტუმროს გააჩნია 455 სხვადასხვა ტიპის ნომერი (სტანდარტული, სუპერიორ, ეგზეკუტივ და საპრეზიდენტო), დიდი საკონფერენციო დარბაზი (2,000 კვ.მ), 4 საკონფერენციო დარბაზი, რესტორნები, სპა, ღია და დახურული აუზები, კაზინო და გასართობი ცენტრები. ობიექტი მთელი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ოპერირებდა.

3.2 სასტუმრო გრანდ ბელაჯიო (იჯარით)

ობიექტი მდებარეობს ქ. ბათუმში, სასტუმრო ეიფორიის მიმდებარედ, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩა N3-ში. ჯამში გააჩნია 590 სასტუმრო ნომერი, მცირე და საშუალო საკონფერენციო დარბაზები, რესტორნები, ღია და დახურული აუზი და სპა ცენტრი. ობიექტი მთელი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ოპერირებდა და ოპერირება გრძელდება.

3.3 აპარტამენტები (იჯარით, შეწყვეტილი)

ობიექტი მდებარეობს ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩა N1-ში და მოიცავს 108 ნომერს. 2026 წელს ოპერირებდა დაახლოებით ხუთი თვის განმავლობაში; საიჯარო ხელშეკრულება შეწყდა 2026 წლის მაისში და ობიექტი აღარ იქნება კომპანიის საოპერაციო პორტფელში. ეს იყო ერთადერთი ხელშეკრულება ფიქსირებული საიჯარო გადასახდელით და შესაბამისად ერთადერთი, რომელიც ფასს 16-ის მიხედვით კაპიტალიზებული იყო. შეწყვეტისას ჯარიმა ან კომპენსაცია არ გადახდილა.

3.4 სასტუმრო სქაი თაუერი (იჯარით, შეწყვეტილი)

ობიექტი მდებარეობს შ. ხიმშიაშვილის ქუჩა N7/33-ში და გააჩნია 104 ნომერი, კაზინო, საკონფერენციო და სარიტუალო დარბაზები, რესტორანი და დახურული აუზი. 2026 წელს ოპერირებდა ერთი თვის განმავლობაში, რის შემდეგაც საიჯარო ხელშეკრულება შეწყდა.

3.5 ობიექტები, რომელთა ოპერირებაც 2025 წელს შეწყდა

სასტუმრო ინტურისტ პალასი (ნინოშვილის ქუჩა N11) — საიჯარო ხელშეკრულება შეწყდა 2025 წლის 31 აგვისტოს. სასტუმრო სითი ჰოთელ ბათუმი (აეროპორტის გზატკეცილი N112) და სასტუმრო ლეჯენდ ბათუმი (ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩა N1) — ოპერირება შეწყდა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2026 წლის პირველ ნახევარში ამ ობიექტებზე საქმიანობა არ განხორციელებულა.

3.6 ოპერირების მომსახურება

სს „მეტრო ატლას ჯორჯია“ (ს/ნ 445406631) კომპანიას უწევს სასტუმროს ოპერირების მომსახურებას, რომლის საზღაური შეადგენს მიღებული შემოსავლის 3%-ს.

4. გეგმები

კომპანია გეგმავს საქმიანობის გაგრძელებას არსებულ ორ ობიექტზე — სასტუმრო ეიფორიასა და სასტუმრო გრანდ ბელაჯიოზე. ახალი საიჯარო ობიექტის აღება დაგეგმილი არ არის.

კომპანია აგრძელებს თანამშრომლობას არსებულ ტურისტულ კომპანიებთან და მიზნად ისახავს ნომრების დატვირთვის ზრდას, განსაკუთრებით სეზონურ პერიოდში. ორი ობიექტის ოპერირების შეწყვეტა ამცირებს ფიქსირებულ საიჯარო ვალდებულებებს და საოპერაციო ხარჯებს.

5. რეგულაცია

საქართველოს კანონმდებლობა სასტუმროებს ძირითადად ოთხი მიმართულებით არეგულირებს:

- სურსათის უვნებლობა — სრულად შევესაბამებით კანონის მოთხოვნებს, რაც დადასტურებულია მარეგულირებელი ორგანოს მიერ ჩატარებული შემოწმებებით, რომელთა შედეგადაც დარღვევები არ დადგინდა;
- მესამე პირის პასუხისმგებლობის დაზღვევა — სრულად შევესაბამებით კანონის მოთხოვნებს;
- სახანძრო უსაფრთხოება — ობიექტებზე გამართულად მუშაობს სახანძრო უსაფრთხოების სისტემა; თანამშრომლებისთვის პერიოდულად ტარდება შესაბამისი ტრენინგები;
- წყლის ხარისხი — ობიექტები რეგულარულად მოწმდება წყლის სინჯების აღებითა და სპეციალურ ლაბორატორიაში მათი შემოწმებით; ნორმატივებთან გადახრა არ დაფიქსირებულა.

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო, სამართლებრივ და რეპუტაციულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო რისკს), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს.

საკრედიტო რისკი

ზარალის რისკი იმ შემთხვევაში, თუ მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. რისკი გამომდინარეობს კრედიტით გაყიდული მომსახურებიდან. კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი კრედიტით გაყიდვების შეზღუდვით — ისინი ხდება გამონაკლის შემთხვევებში და მხოლოდ საიმედო და გამოცდილ ტურისტულ სააგენტოებზე.

სავალუტო რისკი

რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ამ რისკს მართავს ფასების მოქნილი ლავირებით. 2026 წლის პირველ ნახევარში საკურსო შედეგი უმნიშვნელოა.

ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის უუნარობა შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები. ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების არსებობას, ასევე მკაცრად აკონტროლებს დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებას. 2026 წლის იანვარში გაფორმებულმა საგადასახადო შეთანხმებამ არსებითად შეამცირა კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები და მოხსნა ყადაღა საბანკო ანგარიშებზე, რაც ლიკვიდურობის რისკის შემცირების მთავარი ფაქტორია საანგარიშგებო პერიოდში.

კაპიტალის რისკი

კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

საოპერაციო რისკები

ძირითადად უკავშირდება ტურისტული ნაკადის სეზონურობას, ინფლაციასა და ამინდის არამდგრადობას, რასაც კომპანია უპირისპირდება ფასების ლავირებით, მარკეტინგული ღონისძიებებითა და დამატებითი გასართობი სერვისების შეთავაზებით. საანგარიშგებო პერიოდში ორი ობიექტის ოპერირების შეწყვეტამ შეამცირა ამონაგები, თუმცა ამავე დროს შეამცირა ფიქსირებული ხარჯებიც.

სამართლებრივი რისკები

კომპანია მონაწილეობს მიმდინარე სამართლებრივ დავებში, რომელთა შედეგებიც, მენეჯმენტის შეფასებით, არსებით გავლენას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. საჯარო რეესტრის მონაცემებით კომპანიის უძრავ ქონებაზე ძალაშია სასამართლო განჩინებით დაწესებული განკარგვის აკრძალვა, ხოლო საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა რეგისტრირებული არ არის.

რეპუტაციული რისკი

მოქმედი და პოტენციური არაპირდაპირი რისკი შემოსავლებსა და კაპიტალზე, რომელიც წარმოიქმნება მომხმარებლების, კონტრაგენტების, აქციონერების, ინვესტორების, მარეგულირებლების ან სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან კომპანიის იმიჯის უარყოფითად აღქმის შედეგად. რისკის მართვა ხდება შესაბამისი პროცედურებით და კომპანიის სტრუქტურული ერთეულების მიერ.

უსაფრთხოება

კანონმდებლობა უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს აწესებს. კომპანიას გააჩნია სახანძრო უსაფრთხოების ინფრასტრუქტურა; თანამშრომლები პერიოდულად გადიან ტრენინგს უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და გაუთვალისწინებელი მოვლენების შემთხვევაში ქცევის წესების შესახებ. ფუნქციონირების განგრძობითობის მართვის პოლიტიკა შემუშავებულია და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კრიზისული სიტუაციების მართვაზე.

7. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ქვემოთ წარმოდგენილია მონაცემები, რომლებიც გამოხატავს კომპანიის შედეგებს (ათასი ლარი).

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	2026/6	2025/6
ამონაგები სასტუმროსთან დაკავშირებული მომსახურების გაწევიდან	10,310	12,180
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	(1,103)	200
წმინდა მოგება/(ზარალი)	5,637	(69)
სულ აქტივები	90,893	86,945
სულ კაპიტალი	88,514	80,992

ამონაგების შემცირება ძირითადად განპირობებულია ოპერირებადი ობიექტების რაოდენობის შემცირებით — ინტურისტ პალასი, სითი ჰოთელ ბათუმი და ლეჯენდ ბათუმი 2026 წელს აღარ ოპერირებდა, სქაი თაუერი მხოლოდ ერთი თვე, ხოლო აპარტამენტები ხუთი თვე.

საოპერაციო ზარალი გამოწვეულია ამონაგების შემცირებით ცვეთისა და ფიქსირებული ხარჯების პარალელურად. წმინდა მოგება 5,637 ათასი ლარი არსებითად არაგანმეორებადი ხასიათისაა და უკავშირდება 2026 წლის იანვარში გაფორმებული საგადასახადო შეთანხმებით ჩამოწერილ ვალდებულებას.

კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები მისი წარმატების მთავარი გარანტიაა და ცდილობს შექმნას თანაბარი შესაძლებლობები ყველა თანამშრომლის განვითარებისთვის. კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პირად მონაცემებს და მუდმივად იხილავს და აახლებს შესაბამისი რისკებისგან თავდაცვის მექანიზმებს.

ეთიკური ქცევის კოდექსი დაფუძნებულია სამართლიანობის პრინციპებზე. კომპანია ორიენტირებულია სამართლიანი და ეთიკური ფორმით იმოქმედოს ყველა აქციონერისა და დაკავშირებული პირის მიმართ, რადგან თვლის, რომ ეთიკური ქცევა ამყარებს კარგ კორპორატიულ მართვას.

კომერციულად არასაიდუმლო ინფორმაციის მეწილეებისთვის, საზოგადოებისა და დაინტერესებული პირებისთვის დროულად, ზუსტად, სრულად და ადვილად ხელმისაწვდომი საშუალებებით მიწოდება კომპანიის საინფორმაციო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პასუხისმგებლობაა. ამგვარი ინფორმაციის მიწოდება დაფუძნებულია თანასწორობის, გამჭვირვალობისა და პასუხისმგებლობის პრინციპებზე.

8. კორპორატიული მართვის ანგარიშგება

კომპანიას შექმნილი აქვს კორპორატიული მართვის წესები საზოგადოების წესდების ფარგლებში, რომელიც მოიცავს კორპორატიული მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების წესებს, აგრეთვე უმაღლესი მმართველი ორგანოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირისთვის დადგენილ უფლება-მოვალეობებს.

2020 წლის 19 ნოემბერს აქციონერთა კრების მიერ განახლებულია წესდება, რომელიც განთავსებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, სადაც შესაძლებელია ყველა თანმდევი ცვლილების ნახვა.

8.1 მმართველობის ორგანოები

წესდების თანახმად, საზოგადოების უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, ხოლო კომპანიის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ფუნქციებს ასრულებს დირექტორი.

8.2 საერთო კრება

აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს მმართველობის უმაღლეს ორგანოს. აქციონერები მონაწილეობენ კომპანიის მართვაში კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების გზით. საერთო კრება უფლებამოსილია:

- მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ, დანიშნოს სალიკვიდაციო კომისია და დაამტკიცოს სალიკვიდაციო ბალანსი, ასევე მიიღოს გადაწყვეტილება ფილიალებისა და წარმომადგენლობითი ოფისების შექმნისა და ლიკვიდაციის შესახებ;
- მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ;
- მხოლოდ (A) კლასის აქციათა მფლობელებმა მიიღონ გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს შექმნისა და მისი წევრების არჩევის შესახებ;
- დაამტკიცოს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები;
- გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;
- მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების ან დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს აქტივების ღირებულების ნახევარზე მეტს, გარდა ჩვეული სამეწარმეო საქმიანობისა.

საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას — მოადგილე, ხოლო მოადგილის არყოფნისას — ერთ-ერთი დირექტორი.

8.3 სამეთვალყურეო საბჭო

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო არის შუალედური ხელმძღვანელობითი რგოლი. იგი ახორციელებს დირექტორის საქმიანობის კონტროლს და ანგარიშვალდებულია აქციონერთა კრების წინაშე. საბჭოს ყოველი წევრი აირჩევა 1 წლის ვადით, უფლებამოსილება გრძელდება ვადის გასვლის შემდეგ საერთო კრების მოწვევამდე, ხოლო განმეორებით არჩევა არ იზღუდება.

სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს თითოეული დირექტორის საქმიანობას, ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს დირექტორებისგან საქმიანობის ანგარიში, გააკონტროლოს და შეამოწმოს ფინანსური დოკუმენტაცია და ქონებრივი ობიექტები, მოიწვიოს აქციონერთა კრება, შეამოწმოს წლიური ანგარიშები და მოგების განაწილების წინადადება, ასევე ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს. საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც.

8.4 კომპანიის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

საზოგადოების დირექტორები თანამდებობაზე ინიშნებიან და თავისუფლდებიან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. დირექტორი არის საზოგადოების კანონიერი წარმომადგენელი მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში, აწარმოებს მოლაპარაკებებს და დებს ხელშეკრულებებს საზოგადოების სახელით წესდებითა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

დირექტორი წარმართავს და ზედამხედველობას უწევს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობას, აკონტროლებს წლიური ბიუჯეტის, საგეგმო ბალანსის, მოგება-ზარალისა და ინვესტიციების გეგმის შესრულებას, უზრუნველყოფს მასალების მომზადებას აქციონერთა კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის და ახორციელებს ნებისმიერ სხვა საქმიანობას, რომელიც აუცილებელია საზოგადოების მიზნების შესასრულებლად. საზოგადოების სახელით გადაწყვეტილებების მიღებისა და მესამე პირებთან წარმომადგენლობისთვის სავალდებულოა 2 (ორი) დირექტორის ხელმოწერა.

8.5 აუდიტის კომიტეტი

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში კანონით დადგენილი წესით შექმნილია 3 წევრისგან შემდგარი აუდიტის კომიტეტი, რომლის ძირითადი ფუნქციაა შიდა აუდიტისა და გარე აუდიტორების ფუნქციონირების ხელშეწყობა. კომიტეტი ზედამხედველობას უწევს:

- ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს;
- ხარისხის კონტროლის, რისკების მართვისა და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას;
- ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით;
- აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დამოუკიდებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.6 ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული კონტროლები

შიდა კონტროლი არის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს ორგანიზაციული მიზნების მიღწევას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ოპერაციების ეფექტურობა და ეფექტიანობა; აქტივებისა და მონაცემების დაცვა; ფინანსური და სხვა ანგარიშგების სანდოობა; თაღლითობისა და სხვა დარღვევების პრევენცია და გამოვლენა; რისკების აღმოჩენა და მართვა; მიღებული პრაქტიკისა და ეთიკური ნორმების შესაბამისობა ნორმატიულ აქტებთან.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში ძირითადი როლი უკავია ფინანსურ დეპარტამენტს, რომელიც დაკომპლექტებულია შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე პროფესიონალებით. კონტროლის პროცესები მოიცავს:

- კომპეტენტური და ეთიკური პერსონალი — უმცროსი თანამშრომლების მიერ მომზადებული სამუშაო ფაილები ექვემდებარება გადახედვასა და ხარისხის კონტროლს;
- ფუნქცია-მოვალეობების გამიჯვნა — ერთსა და იმავე თანამშრომელს არ აქვს რომელიმე პროცესზე სრულად გავლენის მოხდენის საშუალება;
- საინფორმაციო ტექნოლოგიები — გამოყენებული IT სისტემები კარგად ორგანიზებული და მართულია, მუდმივად მოწმდება მათი სანდოობა, სისრულე და სიზუსტე;

- აქტივების დაცვა — მარაგებისა და ძირითადი საშუალებების ფიზიკური აღწერა, შედარებები მნიშვნელოვან მომწოდებლებთან და კლიენტებთან, სათვალთვალო კამერები და დაცვის სამსახური.

9. არაფინანსური ანგარიში

9.1 საკადრო პოლიტიკა და პერსონალის მართვა

ადამიანური რესურსების მართვის სფეროში კომპანიის პრიორიტეტს წარმოადგენს ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, თანამშრომელთა შრომისა და სოციალური დაცვის გაუმჯობესება და შრომის ეფექტურობის ზრდა. საკადრო პოლიტიკა ორიენტირებულია ახალგაზრდა კადრების მოზიდვასა და არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. თანამშრომლებს მუდმივად უტარდებათ ტრენინგები შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

9.2 ურთიერთობა მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან და სხვა კრედიტორებთან

კომპანიამ ჩამოაყალიბა მყარი პროფესიონალური ურთიერთობები ვიზიტორებთან, რაც გამოიხატა ერთჯერადი ვიზიტორის მუდმივ ვიზიტორად გადაქცევასა და უკმაყოფილო ვიზიტორების შემცირებულ რაოდენობაში. კომპანია თანამშრომლობს როგორც ქართულ, ისე უცხოურ მომწოდებლებთან, რომელთანაც სარგებლობს სანდო პარტნიორის სტატუსით. მენეჯმენტი სათანადო ყურადღებას უთმობს კრედიტორებთან ურთიერთობას და ცდილობს მიაწოდოს მათ სრული და ამომწურავი ინფორმაცია კომპანიის მიმდინარე და მოსალოდნელი ფინანსური და არაფინანსური შედეგების შესახებ.

10. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2026 წლის პირველ ნახევარში კომპანია არ ყოფილა ჩართული კვლევებსა და მსგავს ღონისძიებებში.

11. ინფორმაცია საკუთარი აქციების შესახებ

2026 წლის პირველ ნახევარში კომპანიას საკუთარი აქციები არ შეუძენია.

12. სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები

საგადასახადო შეთანხმება

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 იანვრის N184 განკარგულების საფუძველზე კომპანიასა და შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება. შეთანხმების საფუძველზე მოიხსნა ყადაღა კომპანიის საბანკო ანგარიშებსა და ქონებაზე. ეს არის საანგარიშგებო პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა და კომპანიის წმინდა შედეგის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი.

საიჯარო ხელშეკრულებების შეწყვეტა

2026 წელს შეწყდა საიჯარო ხელშეკრულებები სასტუმრო სქაი თაუერსა (ერთთვიანი ოპერირების შემდეგ) და აპარტამენტებზე (2026 წლის მაისი). შეწყვეტისას ჯარიმა ან კომპენსაცია არ გადახდილა.

დელისტინგი და საჯარო ემიტენტის სტატუსი

2025 წლის 18 თებერვალს აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კომპანიის სავაჭროდ დაშვებული აქციების საფონდო ბირჟიდან მოხსნის (დელისტინგის) თაობაზე. 2025 წლის 17 სექტემბრიდან კომპანიის აქციები (ISIN GE1100003932, საბირჟო კოდი / ტიკერი MEHBB) მოიხსნა ვაჭრობიდან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2026 წლის 30 ივნისის შემდეგ, ამ ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, არ მომხდარა მოვლენები, რომლებიც არსებით გავლენას მოახდენდა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

მმართველობითი ანგარიშგება გამოშვებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2026 წლის 25 აგვისტოს:

ელვან ერდოღან
დირექტორი

ექრემ ჰამდი ჩაქირ
დირექტორი

ქრისტინა გაგარკინა
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე